

საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

საქართველოს საკანონმდებლო ცვლილებების მიმოხილვა
აპრილი, 2020



საკანონმდებლო სიახლეები:

1. საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 აპრილის ბრძანებით გაგრძელდა საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 2020 წლის 22 მაისის ჩათვლით.

რიგი ცვლილებები განხორციელდა აგრეთვე საქართველოს მთავრობის დადგენილებაში № 181 „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“. ერთ-ერთ საინტერესო ცვლილებას წარმოადგენს აღნიშნული დადგენილების მე-13 მუხლის მე-7 პუნქტი, რომლითაც განსაზღვრულია, რომ „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში ადმინისტრაციული ორგანოები არ არიან უფლებამოსილნი მოითხოვონ უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტის თარგმანის, ასევე დოკუმენტის ასლის სანოტარო წესით დამოწმება, თუნდაც ეს მოითხოვებოდეს საქართველოს კანონმდებლობით. დამოწმებული სახით თარგმანის ან/და ასლის წარუდგენლობა არ დააბრკოლებს დაინტერესებული პირის განცხადების განხილვას.“

2. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 31 მარტის № 511 ბრძანების ბოლო რედაქციის თანახმად „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის საქმიანობისა და ნოტარიუსთა მიერ მომსახურების წესებისა და პირობების დადგენის შესახებ“, გაიზარდა დროებითი სანოტარო ბიუროების რიცხვი.

ასევე დროებითი ბიუროს სამუშაო საათები განისაზღვრება ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით (გარდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მიხედვით განსაზღვრული უქმე დღეებისა) 08.00 საათიდან 18.00 საათამდე.

გარდა ამისა, აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულია, რომ სანოტარო მომსახურების მიღება ხორციელდება „ცოცხალი რიგის“ პრინციპით. დაუშვებელია რიგის თანმიმდევრობის დარღვევა. მომხმარებელი, რომელიც რაიმე მიზეზით გამოაკლდება რიგს, მომსახურების მისაღებად თავიდან უნდა დაიკავოს ადგილი რიგში. ასევე დაუშვებელია ნებისმიერი სიის წარმოება რიგში მომხმარებლის ჩაწერის ან/და რიგის მართვის მიზნით.

3. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 15 აპრილის ბრძანება № 521 საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის

მიზნით, საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით, განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) საქმიანობის ადმინისტრირების, აგრეთვე მის მიერ გაწეული მომსახურების კანონმდებლობით დადგენილისგან განსხვავებულ წესებსა და პირობებს.

ბრძანების მე-2 მუხლის თანახმად, სააგენტოს სერვისებით სარგებლობა და მომსახურების მიღება შესაძლებელია დისტანციურად, მოქალაქის პორტალის: www.my.gov.ge-ს საშუალებით.

მატერიალური სახით განცხადებებისა და დოკუმენტაციის მიღება მოხდება მხოლოდ იმ სოციალურად მნიშვნელოვანი მომსახურების გაწევის მოთხოვნით, რომელიც ეხება: 1) უძრავ ნივთებს უფლებათა რეესტრში; 2) საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეესტრში ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის, აკრძალვის) წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის რეგისტრაციას; 3) საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული ობიექტების დამისამართებას, ნუმერაციასა და მათი მისამართების შესახებ მონაცემთა აღრიცხვას, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული აუცილებელია პირადობის ელექტრონული მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის გასაცემად.

ასევე აღნიშნული ბრძანების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულია, რომ თუ განმცხადებელი წარმოადგენს 70 წლის და მეტი ასაკის პირს ან სააგენტოს თავმჯდომარე განსაზღვრავს განსაკუთრებულ შემთხვევას, შესაძლებელია სააგენტომ განახორციელოს ადგილზე მომსახურება, განცხადების წარდგენიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

ამავე მუხლის მე-7 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ დასადები/დადებული სესხის/კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით იპოთეკის უფლების, მასში ცვლილებისა და შეწყვეტის რეგისტრაციის მოთხოვნით განცხადება და დოკუმენტაცია სააგენტოს წარედგინება მხოლოდ დისტანციურად, სააგენტოს ავტორიზებული პირების ან მოქალაქის პორტალის: www.my.gov.ge-ს საშუალებით.

წინამდებარე პორტალის საშუალებით უნდა განხორციელდეს დაინტერესებული პირის მიერ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების ან/და მასში ცვლილების რეგისტრაცია. ბრძანებით განსაზღვრულია იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელთა ელექტრონული ასლებიც უნდა გაიგზავნოს სააგენტოს ელექტრონულ ფოსტაზე.

4. საქართველოს მთავრობის მიერ დაანონსებული ეკონომიკის გახსნის პროცესის ფარგლებში იმისთვის, რომ ეკონომიკური საქმიანობის ობიექტმა ან მეწარმე სუბიექტმა მიიღოს ეკონომიკური საქმიანობის უფლება, აუცილებელია დააკმაყოფილოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები. წინამდებარე რეკომენდაციები მოცემულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის № 01-149/ო ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტში - „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“.

ეკონომიკური საქმიანობის აღდგენისთვის მსურველმა პირმა პირველ რიგში უნდა შეავსოს სააპლიკაციო ფორმა ჯანდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე: <http://orginspect.moh.gov.ge/#/login>. ამის შემდეგ, მთავრობის დადგენილებით, ჯანდაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების ჩართულობით შეამოწმებს ობიექტს. შემოწმების დროს შეივსება სათანადო კითხვარი და შედგება ინსპექტირების აქტი. შემოწმების შედეგების შესახებ განმცხადებელს ეცნობება არაუმეტეს 2 დღის ვადაში. სამუშაო პროცესის აღდგენა მოხდება საქართველოს მთავრობის გეგმა-გრაფიკის გათვალისწინებით და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე.

წყარო:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830610?publication=32>

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4850544?publication=0>

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4853172?publication=0>

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4841539?publication=4>

<https://www.moh.gov.ge/ka/news/5096>

საგადასახადო სიახლეები:

ცვლილება შევიდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 15 დეკემბრის №01-69/ნ/№451 ერთობლივ ბრძანებაში. ცვლილების შედეგად გაფართოვდა სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილი საქონლის ჩამონათვალი, რომლის მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან ჩათვლის უფლების გარეშე. ცვლილების თანახმად 2020 წლის 01 ოქტომბრამდე, ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-სგან გათავისუფლებულია, შემდეგი სახის საქონლის მიწოდება: პლასტმასის მასალის ბაზილები, სახის დამცავი ფარები, ნიტრილის ქირურგიული ხელთათმანები, საიზოლაციო კომბინიზონები, ქირურგიული ხალათები და ა.შ.

ამ პუბლიკაციაში წარმოდგენილი საკითხები გამიზნულია ზოგადი მიმოხილვისა და განხილვისათვის. ეს საკითხები არ არის გათვალისწინებული და არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სპეციფიკურ საკითხებზე კონსულტაციისათვის.

თუ გსურთ დამატებითი ინფორმაციის მიღება, ჩვენი საგადასახადო და სამართლებრივი ექსპერტები სიამოვნებით აგიხსნიან და განგიმარტავენ ყველა შესაძლო საკითხს, ზემოთ მოცემულ ცვლილებებთან დაკავშირებით.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

M +995 599 989 203

E vakhtang.tsabadze@ge.gt.com

ქეთევან ღამბაშიძე

დირექტორი, საგადასახადო და იურიდიული მიმართულება

M +995 593 939 430

E ketevan.ghambashidze@ge.gt.com

ნინო ჯოლია

იურიდიული მიმართულების ხელმძღვანელი

M +995 599 969 069

E nino.jolia@ge.gt.com

ქეთევან წამებულის გამზ. N:54,



თბილისი-0144, საქართველო

ვახტანგ გორგასალის ქუჩა N: 64,

ბათუმი - 6010, საქართველო



T +995 (0) 322 604406



info@ge.gt.ge



www.grantthornton.ge



<https://www.facebook.com/GrantThorntonGeorgia/>



<https://www.linkedin.com/company/grant-thornton-georgia/>



Grant Thornton

An instinct for growth™

grantthornton.ge

© 2020 შპს გრანტ თორნტონ (საქართველო). ყველა უფლება დაცულია.

გრანტ თორნტონი აღნიშნავს ბრენდს, რომლის სახელითაც გრანტ თორნტონის წევრი ფირმები თავიანთ კლიენტებს უწევენ აუდიტორულ, საგადასახადო და საკონსულტაციო მომსახურებებს და/ან აღნიშნავს ერთ, ან მეტ წევრ ფირმას, კონტექსტიდან გამომდინარე. გრანტ თორნტონ საქართველო არის გრანტ თორნტონ ინთერნეშნალის წევრი. გრანტ თორნტონ ინთერნეშნალი და მისი წევრი ფირმები არ წარმოადგენენ მსოფლიო მასშტაბის პარტნიორობას. გრანტ თორნტონ ინთერნეშნალი და ყოველი წევრი ფირმა წარმოადგენს ცალკე იურიდიულ პირს. მომსახურების მიმწოდებლები არიან წევრი ფირმები. გრანტ თორნტონ ინთერნეშნალი და მისი წევრი ფირმები არ არიან აგენტები, და/ან არ გააჩნიათ ვალდებულებები ერთმანეთის წინაშე და არ არიან პასუხისმგებელი ერთმანეთის მოქმედებაზე ან უმოქმედობაზე.